




# უნივერსიტეტის დებულება

(დამტკიცებულია სენატის 2021 წლის 9 ნომბრის კრების ოქმით)



## შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებანი.....	4
მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო.....	4
მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი.....	4
მუხლი 3. უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები.....	4
მუხლი 4. უნივერსიტეტის მიზნები.....	4
თავი II. უნივერსიტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) და მათი უფლება- მოვალეობები.....	5
მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები.....	5
მუხლი 6. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები.....	5
მუხლი 7. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები.....	6
მუხლი 8. დირექტორთა საბჭო.....	6
მუხლი 9. დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებები.....	6
მუხლი 10. დირექტორთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სხდომების მომზადებისა და ჩატარების წესები.....	7
მუხლი 11. დირექტორთა საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები.....	7
მუხლი 12. უნივერსიტეტის პრეზიდენტი, მისი უფლება -მოვალეობები.....	7
მუხლი 13. პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლება.....	8
მუხლი 14. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი-მისი უფლება-მოვალეობები.....	8
თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები.....	9
მუხლი 15. ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი.....	9
მუხლი 16. საფინანსო დეპარტამენტი.....	9
მუხლი 17. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი.....	9
მუხლი 18. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.....	10
მუხლი 19. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი.....	10
მუხლი 20. ადამიანური კაპიტალის მართვის და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი.....	10
მუხლი 21. უწყვეტი განათლებისა და სატრენინგო პროგრამების დეპარტამენტი.....	11
მუხლი 22. საოპერაციო დეპარტამენტი.....	11
მუხლი 23. იურიდიული დეპარტამენტი.....	12
თავი IV. უნივერსიტეტის სკოლები.....	12
მუხლი 24. სკოლები.....	12
მუხლი 25. სკოლის საბჭო.....	12
თავი V. უნივერსიტეტის პერსონალი.....	13

მუხლი 26. უნივერსიტეტის პერსონალი .....	13
მუხლი 27. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი .....	13
მუხლი 28. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი.....	13
მუხლი 29. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები.....	13
მუხლი 30. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.....	13
მუხლი 31. მოწვეული პერსონალი .....	13
მუხლი 32. აკადემიური/მოწვეული /სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები.....	13
მუხლი 33. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლებები და ვალდებულებები .....	14
თავი VI. სტუდენტი.....	14
მუხლი 34. უნივერსიტეტში სტუდენტების მიღება.....	14
მუხლი 35. სტუდენტის უფლება-მოვალეობები.....	14
მუხლი 36. სტუდენტის ვალდებულებები .....	14
მუხლი 37. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა.....	15
მუხლი 38. სტუდენტური თვითმმართველობა .....	15
თავი VII. განათლების საფეხურები .....	15
მუხლი 39. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები.....	15
თავი VIII. აკადემიური ხარისხი.....	15
მუხლი 40. აკადემიური ხარისხის მინიჭება .....	15
თავი IX. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა .....	16
მუხლი 41. უნივერსიტეტის დებულების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება .....	16

## თავი I. ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. შპს ალტე უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) დებულება არის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესის, უნივერსიტეტის მართვის პრინციპებისა და წესების განმსაზღვრელი ძირითადი ნორმატიული აქტი.
2. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 2. უნივერსიტეტის სტატუსი

1. ალტე უნივერსიტეტი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებს, უნივერსიტეტის შინაგანაწესს, უნივერსიტეტის წესდებას, წინამდებარე დებულებას და უნივერსიტეტის სხვა რეგულაციებს.
2. სასწავლო უნივერსიტეტის სრული სახელწოდებაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ალტე უნივერსიტეტი“. ინგლისურად : „Alte University“ Limited Liability Company. უნივერსიტეტის სახელწოდების აბრევიატურაა: შპს „ალტე“; ინგლისურად „Alte“ LLC ;
3. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: უნივერსიტეტის ქ #2, ქ. თბილისი, 0177 , საქართველო.
4. უნივერსიტეტს აქვს ოფიციალური ბეჭედი, საბანკო ანგარიშები, ოფიციალური ვებ-გვერდი - <https://www.alte.edu.ge> და იურიდიული პირისათვის დადგენილი სხვა ატრიბუტიკა.

### მუხლი 3. უნივერსიტეტის ხედვა, მისია და ღირებულებები

1. **ალტე უნივერსიტეტის ხედვაა**, იყოს ხარისხიანი განათლების მიღების, სამეცნიერო კვლევისა და პროფესიული უნარების განვითარებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც ქვეყანაში, ასევე რეგიონში და გახდეს მიზიდულობის ერთგვარი ცენტრი არამარტო ქართველი, არამედ საერთაშორისო სტუდენტებისთვისაც.
2. **ალტე უნივერსიტეტის მისიაა**, სტუდენტებს მივცეთ სრულფასოვანი ცოდნა და ყველა საჭირო უნარი, იმისათვის, რომ შექმნან დამატებითი, გრძელვადიანი ღირებულება, როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

### 3. ღირებულებები

**მეწარმეობა**- რეალობასთან ადაპტირების ნაცვლად, მუდმივი სწრაფვა ცვლილებებისკენ, არსებული საზღვრების მიღმა ხედვა.

**ინოვაცია**- განსხვავებული და კრეატიული/ქმედითი იდეების მუდმივი ძიება.

**პატიოსნება**- ჩვენს ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, საქმიანობის წარმართვა სამართლიანობის, ნდობის, გულწრფელობისა და პატივისცემის გზით.

**სრულყოფილებისკენ სწრაფვა**- განვითარების შესაძლებლობების ძიებისა და ახალი გამოწვევებისკენ სწრაფვის პარალელურად, ვიყოთ საუკეთესოები იმ საქმეში, რასაც ვაკეთებთ.

### მუხლი 4. უნივერსიტეტის მიზნები

1. უნივერსიტეტი აღიარებს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ ძირითად მიზნებს, მათ შორის:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურული ფასეულობათა დამკვიდრების ხელშეწყობას;

ბ) ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მის დასამკვიდრებლად სწრაფვას;

გ) სტუდენტის ჩამოყალიბებას დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალების მატარებელ მოქალაქედ; სტუდენტის აღჭურვას იმ ცოდნით და უნარ-ჩვევებით რათა თითოეული მათგანი იყოს განსაკუთრებული და შექმნას რეალური დამატებითი ღირებულება როგორც საკუთარი თავისთვის, ისე იმ საზოგადოებისთვის, რომელშიც ცხოვრობს

დ) სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას; სასწავლო პროგრამების განხორციელების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწავლების უახლესი მეთოდოლოგიის დანერგვას, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პროფესიულ არჩევანის შესაბამისი ცოდნის მიცემასა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას;

ე) იყოს კურსდამთავრებულის პარტნიორი ყველა ეტაპზე და მუდმივად შესთავაზოს იმ ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარება რაც ატუალური იქნება მათთვის

ე) უნივერსიტეტის ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით სივრცეში საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაცვლითი ან/და ერთობლივი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო (პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში) პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებას;

ვ) უნივერსიტეტში მიღებული ცოდნითა და შეძენილი უნარ-ჩვევებით, შიდა და გარე შრომის ბაზრისათვის, უმაღლესი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებას;

ზ) უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

2. უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და შესაბამისი აკადემიური ხარისხების მინიჭება.

3. მომავალი ხუთი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი მიზნად ისახავს თავისი სწავლების და მომსახურების ხარისხით გახდეს ქვეყნის და რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სასწავლო და კვლევითი დაწესებულება.

4. მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტი ახორციელებს კომპლექსურ ღონიძიებებს, რაც ასახულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

## **თავი II. უნივერსიტეტის სტრუქტურა, მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) და მათი უფლება-მოვალეობები.**

### **მუხლი 5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები.**

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია

- დირექტორთა საბჭო;
- პრეზიდენტი;
- ვიცე-პრეზიდენტი;

### **მუხლი 6. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები**

1. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულია - სკოლა.

1.1 სკოლის მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) არიან:

- სკოლის საბჭო;
- დეკანი;

2. უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულებია:

- ფინანსური დეპარტამენტი
- ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი
- უწყვეტი განათლებისა და სატრენინგო პროგრამების დეპარტამენტი
- მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

- ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტრუქტურული წარმატების დეპარტამენტი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი
- საოპერაციო დეპარტამენტი
- ბიზნესის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
- იურიდიული დეპარტამენტი

3. გადაწყვეტილებას უნივერსიტეტში სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან გაუქმების შესახებ (გარდა სკოლებისა) იღებს პრეზიდენტი. სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებითა ან/და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით ან სტრუქტურული ერთეულების ერთიანი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორთა საბჭო.

#### **მუხლი 7. უნივერსიტეტის მართვის პრინციპები**

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:

- ა) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას;
- ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში;
- გ) თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, ქონებრივი მდგომარეობისა, პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა შეხედულებებისა;
- დ) არჩევნებისა და კონკურსების სამართლიანობას, გამჭვირვალობას, საჯაროობას.

2. უნივერსიტეტში არ დაიშვება რომელიმე პოლიტიკური პარტიის თუ გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის არსებობა.

#### **მუხლი 8. დირექტორთა საბჭო**

1. უნივერსიტეტის მართვის უმაღლესი ორგანოა დირექტორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, უნივერსიტეტის ყველა დეპარტამენტის დირექტორი და ყველა სკოლის დეკანი;
2. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
3. დირექტორთა საბჭოში უნივერსიტეტის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიძლება მოწვეული იქნან პროფესიული ასოციაციები, დამსაქმებლები, და სხვა სუბიექტები სათათბირო ხმის უფლებით.
4. დირექტორთა საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დადგენილების ფორმით, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე – პრეზიდენტი.

#### **მუხლი 9. დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილებები**

1. დირექტორთა საბჭო:

- ა) ამტკიცებს უნივერსიტეტის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს; საჭიროების შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას მათში ცვლილების განხორციელების შესახებ;
- ბ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს;
- გ) ამტკიცებს უნივერსიტეტის წლიურ ანგარიშს;
- დ) სკოლის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს/აუქმებს საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ე) ადგენს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის, განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას და ამტკიცებს შესაბამის ანკეტა-კითხვარებს;
- ვ) იღებს გადაწყვეტილებას ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის შექმნის/გაუქმების და ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ან არსებულის გაუქმების თაობაზე;
- ზ) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტში მოქმედ მარეგულირებელ წესებს;
- თ) ამტკიცებს სკოლის საბჭოს შემადგენლობას სკოლის დეკანის წარდგინების საფუძველზე;
- ი) ამტკიცებს უნივერსიტეტში მოქმედ ფორმებს;
- კ) განიხილავს და ამტკიცებს სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;
- ლ) ქმნის ეთიკის კომიტეტს და უზრუნველყოფს მის ფუნქციონირებას;

მ) იღებს გადაწყვეტილებებს საპატიო დოქტორის/პროფესორის წოდების მინიჭების შესახებ;

ნ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით და ამ დებულებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 10. დირექტორთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სხდომების მომზადებისა და ჩატარების წესები**

1. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის პრეზიდენტი;

2. დირექტორთა საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ;

3. დირექტორთა საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის საფუძველზე, დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე სარგებლობს ვეტოს უფლებით დირექტორთა საბჭოს მიერ განსახილველ ნებისმიერ საკითხზე და საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია დაბლოკოს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება;

4. დირექტორთა საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს დირექტორთა საბჭოს მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას. სხდომის მდივნის ფუნქციას ასრულებს პრეზიდენტის თანაშემწე. დირექტორთა საბჭოს წევრებს სხდომის შესახებ ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი ეცნობებათ სხდომის დაწყებამდე.

6. დირექტორთა საბჭოს სხდომა შეიძლება ჩატარდეს ფიზიკურად დასწრების გზით ან/და დისტანციურად ელექტრონული საშუალებების (მათ შორის ელექტრონული ფოსტის) გამოყენებით. სხდომის ჩატარება სავალდებულო არ არის თუ დირექტორთა საბჭოს ყველა წევრი წერილობით ან/და ელექტრონულად დაადასტურებს თანხმობას დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე. თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ან/და მდივანი.

**მუხლი 11. დირექტორთა საბჭოს და დირექტორთა საბჭოს წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები**

1. დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილება შეიძლება შეწყვედეს:

ა) უნივერსიტეტის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

ბ) ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში;

2. დირექტორთა საბჭოს წევრის უფლებამოსილება ავტომატურად წყდება ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებების დადგომისას:

ა) შესაბამისი თანამდებობის დატოვება

ბ) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული წესით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

**მუხლი 12. უნივერსიტეტის პრეზიდენტი, მისი უფლება -მოვალეობები**

1. პრეზიდენტი არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის დამფუძნებელი/დამფუძნებლები შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

2. პრეზიდენტი არის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს უნივერსიტეტს ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ და უფლებამოსილია უნივერსიტეტის სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები.

3. პრეზიდენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და შემდეგ უფლებამოსილებებს:

ა) უნივერსიტეტის საერთო ხელმძღვანელობას;

ბ) განსაზღვრავს სასწავლო-საგანმანათლებლო, სამეცნიერო, საკადრო, სამეურნეო და ფინანსურ პოლიტიკას;

გ) განაგებს მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას;

დ) გამოსცემს აქტებს, მათ შორის ბრძანებებს სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით;

- ე) ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამტატო განრიგს და ადგენს ხელფასის განაკვეთებს;
  - ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს.
  - ზ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს თავისი უფლებამოსილების დელეგირებას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებზე და გასცემს მინდობილობებს;
  - თ) ქმნის კომისიებს, სამუშაო და სხვა ჯგუფებს;
  - ი) ახორციელებს საერთო კონტროლს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
  - კ) ახორციელებს სასწავლო პროცესის ხარისხის საერთო კონტროლს;
  - ლ) ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამების საფასურს;
  - მ) ამტკიცებს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის და დიპლომის დანართის ფორმას;
  - ნ) ხელს აწერს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;
  - ო) შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე, ნიშნავს სტიპენდიებს წარჩინებული სტუდენტებისთვის;
  - პ) აცხადებს აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსს;
  - ჟ) აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის შედეგების შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს გამარჯვებულ კონკურსანტებს;
  - რ) დებს ხელშეკრულებებს სტუდენტებთან;
  - ს) აფორმებს პერსონალთან შრომით ხელშეკრულებებს;
  - ტ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს;
- პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს ვიცე-პრეზიდენტი. ხოლო ვიცე-პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში-პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირი.
4. პრეზიდენტს ყავს თანამემწე და შეიძლება ჰყავდეს მრჩეველები სხვადასხვა დარგში.
5. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით (ხელშეკრულების საფუძველზე), შეიძლება მოწვეულ იქნას კონსულტანტი/კონსულტანტები ფიზიკური ან იურიდიული პირის სახით.

### **მუხლი 13. პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლება**

1. პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

- ა) პრეზიდენტთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების შეწყვეტა;
- ბ) კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

### **მუხლი 14. უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი; მისი უფლება-მოვალეობები**

1. ვიცე-პრეზიდენტი არის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც ნიშნავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.
2. ვიცე-პრეზიდენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და შემდეგ უფლებამოსილებებს:
  - ა) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის განხორციელებას საგანმანათლებლო პროცესის განვითარებისა და ხარისხის ხელშეწყობის ნაწილში;
  - ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების გაუმჯობესებას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცოდნის ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას;
  - გ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ავტორიზაციის და პროგრამების აკრედიტაციის პროცესების მართვას; სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას; სტუდენტთა მიღების პროცესის მართვას
  - დ) უფლებამოსილია მასზე დაქვემდებარებულ სტრუქტურებს მისცეს დავალებები, მითითებანი, გასცეს განკარგულებები, მოითხოვოს დოკუმენტაცია, ანგარიში;
  - ე) პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას;



- ვ) ასრულებს ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოვალეობებს.
- ზ) ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე.

### **თავი III. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები**

#### **მუხლი 15. ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი**

1. ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც მოქმედებს წინამდებარე დებულებისა და ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის დებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების საფუძველზე.
2. დეპარტამენტი ხელს უწყობს უნივერსიტეტის ინტეგრაციას უმაღლესი განათლების საერთო ევროპულ სივრცეში და ბოლონის პროცესის პრინციპების განხორციელებას, უნივერსიტეტში სწავლებისა და სწავლის ხარისხის მუდმივ ამაღლებას და ამ მიზნით ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობის სტიმულირებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს.
3. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს:
  - ა) ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით;
  - ბ) შეიმუშავებს და ატარებს შესაბამის ღონისძიებებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, სწავლის ხარისხის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხებზე;
  - გ) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;
  - დ) ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვას და მისი მიმდინარეობის მონიტორინგს;
  - ე) ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას;
  - ვ) უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების წარმართვას; ურთიერთობს სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებთან, უზრუნველყოფს საკანონმდებლო აქტების, ბრძანებების და ასე შემდეგ გაცნობას უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის, უზრუნველყოფს მარეგულირებელი ორგანოების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის დროულ და ხარისხიან მიწოდებას
  - ზ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს
4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

#### **მუხლი 16. საფინანსო დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ბიუჯეტირებას, მის კონტროლს, აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას.
4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

#### **მუხლი 17. საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:
  - ა) სტუდენტთა რეკრუტირებას (ქართველი და უცხოელი);
  - ბ) უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე მარკეტინგულ აქტივობას;
  - ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს;
  - გ) ახორციელებს უნივერსიტეტის მიზნების და ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელი სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების დაგეგმვასა და ჩატარებას;
  - დ) ზრუნავს უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებაზე;
  - ე) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

#### **მუხლი 18. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:
  - ა) ინტერნაციონალიზაციის პროცესების განხორციელებას, კავშირების დამყარებას უცხოურ უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
  - ბ) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობას.
  - გ) გრანტების მოპოვებას სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან
4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

#### **მუხლი 19. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
3. დეპარტამენტი, უნივერსიტეტის ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების და სისტემების დანერგვას, პროცესების გაციფრულებას, არსებული კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობას და უნივერსიტეტის სამსახურებისა და დეპარტამენტების პროგრამულ უზრუნველყოფას და ტექნიკურ მხარდაჭერას.
4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

#### **მუხლი 20. ადამიანური კაპიტალის მართვის და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, საქართველოს შრომის

კოდექსის, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს:

- ა) უნივერსიტეტში კორპორატიული კულტურის ჩამოყალიბების ხელშეწყობას;
- ბ) თანამშრომლების მოძიებასა და შერჩევის პროცესის მართვას;
- გ) საკადრო დოკუმენტაციის წარმოებას და კონტროლს;
- დ) სტუდენტების/კურსდამთავრებულების დახმარებას პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში; ხელს უწყობს სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს დასაქმებაში;
- ე) სტუდენტური ცხოვრების ჩამოყალიბებაზე ზრუნვას; სტუდენტებისთვის სწავლის პარალელურად აქტივობების დაგეგმვას.

4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

### **მუხლი 21. უწყვეტი განათლებისა და სატრენინგო პროგრამების დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის უწყვეტი განათლებისა და სატრენინგო პროგრამების დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვას, რისთვისაც ახორციელებს:

- ა) ბაზრის კვლევას სატრენინგო პროგრამების მოთხოვნასთან დაკავშირებით;
- ბ) პროგრამების შემუშავებას, მომგებიანობის დათვლას;
- გ) ეხმარება ადამიანური კაპიტალის მართვისა და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტს ლექტორ(ებ)ის მოძიებაში, ხოლო მარკეტინგის დეპარტამენტს სტუდენტთა რეკრუტირებაში.

4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

### **მუხლი 22. საოპერაციო დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის საოპერაციო დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემდეგს:

- ა) უნივერსიტეტის შესყიდვების პროცესის ორგანიზებას დამტკიცებული წესის შესაბამისად;
- ბ) სამეურნეო საკითხების ზედამხედველობასა და მოწესრიგებას;
- გ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე წესრიგისა და მატერიალური ქონების დაცვას, სტუდენტების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის უსაფრთხოებას;
- დ) კანცელარიის გამართულ მუშაობას, მკაცრი აღრიცხვის ბლანკების, მათ შორის სტუდენტების დიპლომების და მისი დანართების მართვას;
- ე) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ზედამხედველობას; უნივერსიტეტის ყველა სახის პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფას თანამედროვე ბეჭდურ და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული წიგნადი ფონდით.

4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

### **მუხლი 23. იურიდიული დეპარტამენტი**

1. უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“, საქართველოს შრომის კოდექსის, წინამდებარე დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

3. დეპარტამენტი დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს შემდეგს:

ა) უნივერსიტეტის დოკუმენტების/შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავებას/ანალიზს/დადასტურებას და კანონმდებლობასთანმათი შესაბამისობის უზრუნველყოფას;

ბ) საკანონმდებლო ცვლილებების და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების მონიტორინგს;

გ) უნივერსიტეტის მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულებების/შეთანხმებების/ნებისმიერი ტიპის გარიგებების შემუშავებას/ანალიზს/დადასტურებას;

დ) პერიოდულ ანგარიშგებას შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ის წინაშე;

ე) სამართლებრივი კონსულტაციების გაწევას უნივერსიტეტის მართვის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულებისა და მათი წარმომადგენლებისათვის;

ვ) უნივერსიტეტის მმართველის ორგანოების მიერ გაცემული სხვა დავალებების შესრულებას/განხორციელებას.

4. დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის პრეზიდენტის წინაშე.

## **თავი IV. უნივერსიტეტის სკოლები**

### **მუხლი 24. სკოლები**

1. სკოლა არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას. სკოლას ხელმძღვანელობს სკოლის დეკანი; დეკანი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტის წინაშე.

2. სკოლის საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის დებულებით.

3. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 4 სკოლა

ა) სამართლის სკოლა;

ბ) ბიზნესის სკოლა;

გ) ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;

დ) მედიცინის საერთაშორისო სკოლა.

4. გადაწყვეტილებას სკოლის შექმნის ან გაუქმების შესახებ იღებს დირექტორთა საბჭო;

5. სკოლების შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასკოლო მნიშვნელობის სასწავლო, სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, ასევე სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად შექმნილი ცენტრები და სხვა ერთეულები.

### **მუხლი 25. სკოლის საბჭო**

1. სკოლის საბჭო არის წარმომადგენლობითი ორგანო რომელიც ახორციელებს სკოლის მართვას.

2. სკოლის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობას და მიმდინარე საკითხების/ამოცანების გადაწყვეტას.

3. სკოლის საბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი, რომლის არჩევა ხორციელდება წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით და

სკოლის სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

4. სკოლის საბჭოს წევრთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება სკოლის დებულებით და უნდა შეადგენდეს 5 ან 7 წევრს, ლეკანის ჩათვლით, სკოლის პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით.

## **თავი V. უნივერსიტეტის პერსონალი**

### **მუხლი 26. უნივერსიტეტის პერსონალი**

1. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

### **მუხლი 27. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი**

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების და ასისტენტებისგან.

### **მუხლი 28. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი**

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

2. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭო.

3. აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე კონკურსს აცხადებს სკოლის ლეკანი და ათანხმებს უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის და სტუდენტთა წარმატების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, რომელიც ამ მიზნით ქმნის კომისიას.

4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის შესაბამისი მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული წესით.

### **მუხლი 29. აკადემიური თანამდებობის დაკავების პირობები**

1. აკადემიურ თანამდებობაზე პირი შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად.

2. საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად აკადემიურ თანამდებობაზე ასევე შეიძლება არჩეულ იქნას აკადემიური ხარისხის არმქონე პირი პროფესიული კვალიფიკაციის ნიშნით.

### **მუხლი 30. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი**

1. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლა;

გ) შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

დ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

### **მუხლი 31. მოწვეული პერსონალი**

1. პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის უნივერსიტეტში სასწავლო კურსის განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნას შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი.

### **მუხლი 32. აკადემიური/მოწვეული /სამეცნიერო პერსონალის შრომითი ურთიერთობები**

1. აკადემიური პერსონალი კონკურსის წესით არჩევის შემდეგ თანამდებობაზე ინიშნება პრეზიდენტის ბრძანებით, შემდეგი ვადით: პროფესორი - 5 წლით; ასოცირებული პროფესორი - 3 წლით; ასისტენტ პროფესორი -3 წლით, ასისტენტი-3 წლით.

2. სამეცნიერო პერსონალი კონკურსის წესით არჩევის შემდეგ თანამდებობაზე ინიშნება პრეზიდენტის ბრძანებით, შემდეგი ვადით: მთავარი მეცნიერი თანამშრომელი- 3 წლით; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი- 3 წლით; მეცნიერი თანამშრომელი -3 წლით,

3. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 33. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის უფლებები და ვალდებულებები**

1. პერსონალის უფლებები და ვალდებულებებია:

- ა) დამოუკიდებლად განახორციელოს სწავლება და კვლევითი საქმიანობა;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსები) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
- გ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები;
- დ) დაიცვას უნივერსიტეტის დებულებით, ეთიკის კოდექსით და შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები;
- ე) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

## **თავი VI. სტუდენტი**

### **მუხლი 34. უნივერსიტეტში სტუდენტების მიღება**

1. უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის/ერთსაფეხურიანი/მაგისტრატურის/დოქტორანტურის (სადოქტორო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში) პროგრამის გასაავლელად. სტუდენტად ასევე ითვლება პირი რომელიც გაივლის უწყვეტი განათლების და ტრენინგების დეპარტამენტის მიერ შეთავაზებულ პროგრამებს.

### **მუხლი 35. სტუდენტის უფლება-მოვალეობები**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საფეხურის სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევებში;
- გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით დადგენილი წესით, თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- დ) აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის, სკოლების წარმომადგენლობით ორგანოებში;
- ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- თ) აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- ი) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- კ) პერიოდულად შეაფასოს უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობა;
- ლ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
- მ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

### **მუხლი 36. სტუდენტის ვალდებულებები**

1. სტუდენტი ვალდებულია, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა;

2. დაიცვას უნივერსიტეტის დებულება, შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

**მუხლი 37. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ეთიკის კოდექსით.

**მუხლი 38. სტუდენტური თვითმმართველობა**

1. უნივერსიტეტში იქმნება სკოლების წარმომადგენლებიდან არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

2. სტუდენტური თვითმმართველობა:

ა) ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას;

ბ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში;

გ) მიავლენს წარმომადგენელს სკოლის საბჭოში;

დ) ახორციელებს კანონმდებლობითა და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არ აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

**თავი VII. განათლების საფეხურები**

**მუხლი 39. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურები**

1. უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება პირველ და მეორე საფეხურზე. კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პროცედურების გავლის შემდეგ-მესამე საფეხურზეც.

2. აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურებია:

ა) პირველი საფეხური (ბაკალავრიატი) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც

მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს;

ბ) მეორე საფეხური (მაგისტრატურა) – საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს;

გ) სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.

დ) მესამე საფეხური-დოქტორანტურა-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც

მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს (უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლების მოპოვების შემთხვევაში);

**თავი VIII. აკადემიური ხარისხი**

**მუხლი 40. აკადემიური ხარისხის მინიჭება**

1. აკადემიურ ხარისხს უნივერსიტეტი ანიჭებს პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევის და დაგროვილი კრედიტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომელიც საკმარისია სწავლების მოცემული საფეხურის დასასრულებლად.

2. აკადემიური განათლების ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტი გასცემს უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს- დიპლომს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისი დანართით.

**თავი IX. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა****მუხლი 41. უნივერსიტეტის დებულების მიღების, შეცვლისა და გაუქმების უფლებამოსილება**

1. უნივერსიტეტის დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ.